



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბრძანება № 1660

2015 წლის 05 ნოემბერი

ქ. მცხეთა


გიორგი ოგბაიძისათვის თანხის ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ბეჟან ხურციძის 27.10.15წ. №2-2558 წერილის, ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის, თ. გრძელიშვილის 04.11.15წ. №2-2558 მოხსენებითი ბარათისა და თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015 წლის 6-8 ნოემბერს აზერბაიჯანის ქალაქ მინგეჩაურში გასამართ ნიჩბოსნობის საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილე სპორტსმენს, გიორგი ოგბაიძეს, ჩაერიცხოს, კვებისა და სასტუმროს ხარჯისთვის გათვალისწინებული თანხა - 252 (ორას ორმოცდათორმეტი) ლარი.
2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი



ზურაბ აბესაძე